



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 85

ქალაქი ქუთაისი

27

ივნისი

2018 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის

14 მარტის №61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 მარტის №61 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. განკარგულების დანართში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის №193 პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

N	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატიზებო საფასური 1 კვ.მ.-ზე (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით, ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
193	მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ფოთის ქუჩა №118-ს მიმდებარედ	3306	03.06.21.552	სარგებლობაში, აღნაგობის უფლებით, 25 წლის ვადით	პირობებით	ყოველი თვის ბოლოს

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმას დაემატოს №210 – №214 პუნქტები თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი

რამაზ ჩხიკვაძე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და
სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმა

№	ქონების დასახელება	მისამართი	ფართობი (კვ.მ.)	სარეგისტრაციო ნომერი	საწყისი საპრივატი- ზებო საფა- სური 1 კვ.მ. - ზე (ლარი)	აუქციონით განკარგვის ფორმა (პირობით ან უპირობოდ)	სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
1	2	3	4	5	6	7	8
210	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, სულხან-საბას გამზირი №99-ის სამხრეთით	1207	03.05.24.807	32.0 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
211	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ბუკიას ქუჩა №7-ის სამხრეთ-დასავლეთით	152	03.01.23.392	44.0 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
212	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, ბუკიას ქუჩა №7-ის დასავლეთით	112	03.01.24.518	44.0 (1 კვ.მ.-ზე)	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში
213	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქალაქი ქუთაისი, 9 აპრილის ქუჩა №2 (ნაკვეთი №2-2)	3721	03.01.24.382	სარგებლობაში	უპირობოდ	საანგარიშო წლის ბოლოს
214	შენობა-ნაგებობა	ქალაქი ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №15-4	მიწა-1769 კვ.მ. მშენებარე შენობა- ნაგებობა 3172,40 კვ.მ.	03.05.24.847	283983,0	უპირობოდ	ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი

რამაზ ჩხიკვაძე